სსიპ განათლების ხარისხის
განვითარების ეროვნული ცენტრი

მერაბ ალექსიძის II შესახ. №2
0193 თბილისი, საქართველო
+995 32 2 02 21 21
info@eqe.ge

13/08/2025

MES 2 25 0000977520

გადაწყვეტილება

სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადების" საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული "უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ, თუ „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^6 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის პირველი და ყოველი მომდევნო აკრედიტაციის შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასებისას, ყველა სტანდარტთან მიმართებით საბჭოს მიერ შეფასდა, როგორც „სრულად ან/და მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან".

1.3. „აკრედიტაციის დებულების" 27^5-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. „აკრედიტაციის დებულების" 27^6-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, ერთ სტანდარტთან მიმართებით მაინც შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან" და არცერთ სტანდარტთან მიმართებით არ შეფასდება, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან ან „არ არის შესაბამისობაში

სტანდარტის მოთხოვნებთან“, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას აკრედიტაციის შესახებ და დაწესებულებას განუსაზღვრავს ვადას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად, რაც აისახება საბჭოს სხდომის ოქმში.

1.5. აკრედიტაციის დებულების 27^5 - ე მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 07 ივლისის №831208 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება.

2.2 საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.3 სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მეტწილად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ:

1.3 კომპონენტში აკრედიტაციის საბჭომ მოხსნა რეკომენდაცია:

რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმაში შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდების დივერსიფიცირება, შეფასების ფორმის მკაფიოდ განსაზღვრა და სამიზნე ნიშნულების შესაბამისობაში მოყვანა შეფასების მეთოდების განახლების პარალელურად;

1.3 კომპონენტში დაკორექტირდა რეკომენდაცია შემდეგი სახით:

რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასება დაემყაროს პროგრამის სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს და გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკას.

2.2 კომპონენტში საბჭომ რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში შემდეგი სახით:

სასურველია სტუდენტთა მეტი ჩართულობა ადგილობრივ ან საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებსა და ტრენინგებში. აღნიშნული კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განისაზღვრა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, აღნიშნულმა არ გამოიწვია მე-2 სტანდარტის ცვლილება.

2.3 კომპონენტში საბჭომ მოხსნა შემდეგი რეკომენდაცია:

რეკომენდებულია, კურაციული სწავლების წესი მოიცავდეს როგორც შემოდგომის, ისე გაზაფხულის სემესტრს.

2.3 კომპონენტში დაემატა რეკომენდაცია "ელექტრონული სწავლების შემთხვევაში, რეკომენდებულია სასწავლო კურსში რელევანტური სწავლების მეთოდების ასახვა."

2.4 კომპონენტში საბჭომ რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში, კერძოდ;

სასურველია უნივერსიტეტმა გააუმჯობესოს სტუდენტების სისტემური და თანაბარი ინფორმირება შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმებზე, რადგან უკეთ იყოს უზრუნველყოფილი სტუდენტთა ინფორმირებულობა და პროცესის გამჭირვალეობა.

5.1 კომპონენტში საბჭომ რეკომენდაცია გადაიტანა რჩევაში, კერძოდ:

სასურველია თვითშეფასების პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისა და თანამშრომლობის ხარისხის გაზრდა და პროგრამაში განხორციელებულ ცვლილებებთან დაკავშირებით რეგულარული უკუკავშირის წარმოება.

5.1 კომპონენტში, მოიხსნას რეკომენდაცია - "პროგრამის განვითარებისა და შედეგების მდგრადობის უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივად თანამშრომლობდეს პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად."

3. სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად,

გადაწყვიტა:

1. დაკმაყოფილდეს სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ „ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია - 2032 წლის 30 ივლისამდე.
2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - საქართველოს სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლის მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
3. ცნობილ იქნას საბჭოს 2025 წლის 30 ივლისის სხდომის № 977513 ოქმის № 02 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).
4. დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სწავლის შედეგების შეფასება დაემყაროს პროგრამის სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს და გადაიხედოს სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის რუკას;
- რეკომენდებულია, პრაქტიკაზე ორიენტირებული საგნების სწავლების დროს გათვალისწინებული იყოს ქართული საგანმანათლებლო სივრცის შემთხვევები (ქეისები) და მათზე რეფლექსია;
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში რელევანტური სწავლების მეთოდების ასახვა ელექტრონული სწავლების შემთხვევაში;
- რეკომენდებულია, დეტალურად, სასწავლო კურსების მიხედვით, გაიწეროს კურაციული მეთოდით სწავლების წესი და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
- რეკომენდებულია შეიქმნას პრაქტიკის განხორციელების დეტალური დოკუმენტი, რომელშიც გაწერილი იქნება ორივე მხარის (უნივერისტეტისა და პრაქტიკის ობიექტის) უფლება-მოვალეობები.

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2025 წლის 30 ივლისიდან.

6. საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ერთი წელი - 2026 წლის 30 ივლისი.
7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის მე-2 შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) კანონმდებლობის შესაბამისად დაწესებულებისთვის გაცნობის დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე

ელექტრონული
მფლობელობა
ელექტრონულად